

დადგენილება № ცვ-0842-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

04 ნოემბერი, 2021 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნათია სვანიძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 04 ნოემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი მიხეილ კვეტენაძე, პირადი № 18001031354, დაბ. 1955 წლის 15 აგვისტოს, მის. ზესტაფონის, სოფ. სანახშირე (ფაქტ. მის: ზესტაფონი, სოფ. მარტოთუბანი).

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2021 წლის 29 ოქტომბერს, ზესტაფონის რაიონის, სოფ. მარტოთუბანში, აბონენტ მიხეილ კვეტენაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე, აბონენტი ელექტროენერგიას მოიხმარდა მრიცხველის გვერდის ავლით. კერძოდ, მრიცხველამდე დაერთებული ჰქონდა 2X10 სადენი, რომელშიც გადიოდა 9,8 ამპერი ტვირთი. აღნიშნული კი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. მიხეილ კვეტენაძის მიმართ 01.11.2021წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №008435 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტი აღარ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. მიხეილ კვეტენაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 29.10.2021წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № 1579372, რომლითაც დასტურდება მიხეილ კვეტენაძის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი), რომელთა მეშვეობით დგინდება მიხეილ კვეტენაძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც მიხეილ კვეტენაძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი მიხეილ კვეტენაძე, პირადი №18001031354, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: *ნ. სვანიძე* ნათია სვანიძე,
კომისიის თავმჯდომარის მ/შ

